ევროკავშირის მხარდაჭერა მოწყვლადი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საქართველოში: ბავშვთა დაცვის სისტემის ხუთწლიანი მხარდაჭერის შედეგი

საქართველოში, სადაც 3,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებები მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და სწრაფ რეაგირებას. საქართველოში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 841,727 * (18 წლამდე ასაკის) მთლიანი მოსახლეობის 23%-ს შეადგენს. მათი 38% მატერიალურ და სოციალურ დანაკლისს განიცდის, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 350,000 ბავშვი მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. 250,000-ზე მეტი ბავშვი, ანუ მეოთხედი, დამოკიდებულია სახელმწიფო დახმარებაზე, რომელიც მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა იმ 3,000-მდე ბავშვისთვის, რომლებსაც თავის სარჩენად ქუჩაში უწევთ ცხოვრება და მუშაობა.

ბავშვთა დაცვის საკითხების ხელშეწყობისა და სოციალური სერვისების განვითარების მიზნით, ევროკავშირი (EU) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს World Vision საქართველოსთან. ამ პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარება და ხელშეწყობაა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც სოციალური მუშაობა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფება და მოითხოვს როგორც სასწავლო რესურსების შექმნას, ისე პროფესიული უნარების განვითარებას. აღნიშნულმა პარტნიორობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტებში ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ჩამოყალიბებაში, სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შექმნასა და ადამიანური რესურსების გადამზადებასა და გაძლიერების პროცესში. შედეგად, ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა სოციალური დაცვის მდგრადი სისტემა, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას საჭირო სერვისებზე და მეტი მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახების დახმარების საშუალებას იძლევა.

ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ შევძელით ხელშესახები შედეგების მიღწევა მთელი ქვეყნის მასშტაბით:

1. დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიული ზრუნვის სერვისები

ევროკავშირის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, World Vision საქართველომ დიდი ზომის, არარეგულირებადი დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციასა და ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვების განთავსების ხელშეწყობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. სწორედ ევროკავშირის დახმარებით გახდა შესაძლებელი კოჯრის სკოლა-პანსიონის დახურვა, რის შედეგადაც 45 ბავშვი დაბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახებში, ხოლო ნაწილი გადაყვანილ იქნა ალტერნატიულ ზრუნვაში, მათ შორის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. გარდა ამისა, ბავშვების საჭიროებებზე მორგებული მომსახურების უფრო ეფექტურად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, გადამზადდნენ დაწესებულების თანამშრომლები და ბავშვებთან მომუშავე პირველი ხაზის პერსონალი.

2. ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტებში

ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების (CPUs) ჩამოყალიბების ხელშეწყობა ჩვენი თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო, რაც ევროკავშირის მხარდაჭერით წარმატებით განხორციელდა საქართველოს ყველა (65) მუნიციპალიტეტში. ეს განყოფილებები ადგილობრივ დონეზე ბავშვთა კეთილდღეობის მთავარ სისტემას/ღერძს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მოწყვლად ბავშვებსა და მათ ოჯახებს, ძალადობის, უგულებელყოფის და ექსპლუატაციის შემთხვევების დროული პრევენციისა და სათანადო რეაგირების გზით. მუნიციპალური სოციალური მუშაობის და ბავშვთა დაცვის ქსელის ეფექტური მუშაობა უზრუნველყოფს ბავშვებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებულ სწრაფ და ხელმისაწვდომ დახმარებას და ქმნის ერთგვარ დაცვის მექანიზმს მათთვის.

* მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები GEOSTAT (2024)

3. ადამიანური რესურსების გადამზადება ბავშვთა დაცვის სფეროში საქართველოში

ბავშვთა დაცვის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებაში ადამიანური რესურსების მუდმივი გადამზადება და მათი უნარების განვითარება გადამწყვეტ როლს თამაშობს. ევროკავშირისა და World Vision საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში, ბავშვთა უფლებების, ბავშვთა დაცვის პოლიტიკის და ინტერვენციის მეთოდების საკითხებში გადამზადდა 749 სოციალური მუშაკი, მათ შორის 400 სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი და 349 მუნიციპალური სოციალური მუშაკი. ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, შემთხვევის მართვისა და გადამისამართების (რეფერირების) პროცედურების შესახებ სპეციალიზირებული ტრენინგების გავლის შედეგად, სოციალური მუშაკები უკეთ არიან მომზადებულნი განახორციელონ სათანადო ინტერვენციები რთულ შემთხვევებზე, რაც მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის სექტორის განვითარებისთვის ქვეყანაში. კადრების უწყვეტი პროფესიული გადამზადება საფუძველს უყრის ბავშვთა დაცვის ძლიერ სისტემას, რომელიც სრულფასოვნად და ეფექტურად ემსახურება მოწყვლად ჯგუფებს.

4. მინდობით აღზრდის სისტემის განვითარება მოწყვლადი ბავშვების დაცვისა და მათი კეთილდღეობისთვის

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მინდობით აღზრდის სისტემის მხარდასაჭერად მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მიზნად ისახავს მოწყვლადი ბავშვებისთვის ხარისხიანი ალტერნატიული ზრუნვის სისტემის შექმნას. სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია ბავშვის განვითარებასა და ტრავმა-ინფორმირებულ ზრუნვაზე, გადამზადდა 488 მინდობით აღმზრდელი, რაც საშუალებას აძლევს 1000-ზე მეტ ბავშვს იცხოვროს ოჯახურ და მზრუნველ გარემოში. UNICEF-თან პარტნიორობით ჩატარებულმა ცნობიერების ამაღლების კამპანიებმა მოიცვა 1,800-ზე მეტი ადამიანი პირისპირ ფორმატში და ათასობით ადამიანი ონლაინ, რაც ხელს უწყობს მინდობით აღზრდის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების ჩართულობას.

5. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების გაუმჯობესება

ზრუნვის სერვისის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა ტიპის სამზრუნველო დაწესებულებების, მათ შორის მცირე საოჯახო ტიპის სახლების, დღის ცენტრებისა და თავშესაფრების 300-მდე თანამშრომელმა გაიარა ყოვლისმომცველი სასწავლო კურსი. ამ ინიციატივის შედეგად გაუმჯობესდა ბავშვზე ზრუნვის ხარისხი 1617-ზე მეტი ბავშვისთვის, რაც ნიშნავს რომ მათზე ზრუნავს გამოცდილი პერსონალი, რომელიც სწორად ხედავს ბავშვის ინდივიდუალურ - ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებს და შესაბამის სერვისს სთავაზობს მას.

6. ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების აუცილებელი სერვისების უზრუნველყოფა

ბავშვები, რომლებსაც თავის გადარჩენის მიზნით ქუჩაში უწევთ ცხოვრება და მუშაობა, განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგანან, რადგან ბევრ მათგანს არ აქვს წვდომა საბაზისო საჭიროებებზე და ასევე არ არის დაცული მათი უსაფრთხოება. ჩვენი ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, დაახლოებით 1000 ბავშვმა ისარგებლა დღის ცენტრების, 24/7 თავშესაფრებისა და მობილური ჯგუფის სერვისებით. ეს მომსახურებები ბავშვებს უზრუნველყოფს საკვებით, თავშესაფრით, ჯანდაცვით, განათლებით და ფსიქოლოგიური დახმარებით. ამ წლების განმავლობაში, არაპირდაპირი გზით მოვიცავით 3000-მდე ბავშვი მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენ ვეხმარებით ყველაზე მოწყვლად ბავშვებს შეცვალონ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ და ვქმნით გარემოს, სადაც მათ შეუძლიათ თავი იგრძნონ უსაფრთხოდ და დაცულად.

7. ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება ბავშვთა კეთილდღეობისთვის

არასტაბილური ეკონომიკური გარემო დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვთა დაცვის საკითხებზე. EU-World Vision პარტნიორობის ფარგლებში, 95 სოციალურად დაუცველმა ოჯახმა, რომლის მარჩენალი იყო მარტოხელა ან/და მრავალშვილიანი დედა - მიიღო ეკონომიკური მხარდაჭერა "სიღარიბის დაძლევის პროგრამის" (Ultra-Poor Graduation Model) ფარგლებში. ეს არის World Vision-ის წარმატებული მოდელი, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისკენ. პროგრამა ოჯახებს უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ტრენინგებითა და დასაქმების ხელშეწყობით, რაც მათ შემოსავლის ზრდასა და ბავშვებისთვის მეტად სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის შექმნაში ეხმარება.

8. ახალგაზრდების გაძლიერება ბავშვთა დაცვის და მათი უფლებების ადვოკატირებისთვის

ახალგაზრდების როლი და ჩართულობა ბავშვთა დაცვის და მათი უფლებების ადვოკატირების პროცესში უმნიშვნელოვანესია, რისთვისაც ევროკავშირისა და World Vision-ის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა პლატფორმები, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას, რომ მოახდინონ საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების ადვოკატირება მუნიციპალურ დონეზე. ბოლო 5 წელში, რეგიონებში ჩატარდა 15 ახალგაზრდული ფორუმი, რომელშიც 2,500 ახალგაზრდა მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონებიდან. ეს ფორუმები საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს გააჟღერონ მათი საჭიროებები, შეხვდნენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ჩაერთონ ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ჩვენი მიზანია რეგიონებში შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდობა არის საზოგადოების და ქვეყნის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

9. ახალგაზრდების უნარების განვითარება ეკონომიკური გაძლიერებისთვის

უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მოწყვლად ახალგაზრდებთან მიმართებაში. ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა 26 SKYE კლუბი (ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის კლუბი), სადაც 650-ზე მეტ ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ცოდნა და განივითაროს დამოუკიდებელი ცხოვრების, ლიდერობისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარები. SKYE კლუბების ინიციატივებით 5200-ზე მეტი ახალგაზრდამ მიიღო პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც დაეხმარება დასაქმების ბაზარზე იყოს კონკურენტუნარიანი და ამავდროულად აქტიურად ჩაერთოს ბავშვთა უფლებების და თემის კეთილდღეობის საქმეში.

10. თემის ჩართულობა ახალგაზრდულ ინიციატივებში

60 000-ზე მეტმა ახალგაზრდამ ისარგებლა იმ სათემო ინიციატივებითა და ადვოკატირების კამპანიებით, რომელიც World Vision საქართველოს მხარდაჭერით ჩამოყალიბებულმა ახალგაზრდულმა მრჩეველთა საბჭოებმა განახორციელეს 12 მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ 1000-ზე მეტი ახალგაზრდული სათემო აქტივობა/სემინარი/სამუშაო შეხვედრა ჩატარდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში, რომელსაც 300-ზე მეტი ლიდერი ახალგაზრდა ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდების უშუალო მონაწილეობით, ევროკავშირისა და World Vision-ის პარტნიორობამ, ბავშვთა დაცვის საკითხებისადმი ინტერესი, ჩართულობა და ლობირება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის გაძლიერება საქართველოს უკეთესი მომავლისთვის

ევროკავშირისა და World Vision-ის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა მდგრადი და საზოგადოებაზე ორიენტირებული ბავშვთა დაცვის სისტემა, რომლის მთავარი პრიორიტეტი ადამიანური რესურსების განვითარება და საზოგადოების ჩართულობაა. მსგავსი ინიციატივები უდიდეს მხარდაჭერას უწევს მოწყვლად ბავშვებს, ზრდის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას ბავშვთა დაცვის მიმართ და ეხმარება სოციალური მუშაკებს, მინდობით აღმზრდელებსა და ახალგაზრდა ლიდერებს დადგნენ ბავშვთა კეთილდღეობის სადარაჯოზე. ევროკავშირი და World Vision ერთად ქმნიან მყარ საფუძველს გრძელვადიანი პროგრესისა და წარმატებული მომავლისთვის, რათა საქართველოში ყველა ბავშვმა შეძლოს უსაფრთხო, მზრუნველ და ჯანსაღ გარემოში ცხოვრება.